საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/135 « 7 » ოქტომბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლ. ცანავას თბილისის საქალაქო სასამართლოში მივლინების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის 51 საშტატო ერთეულია, ხოლო უფლებამოსილებას 43 მოსამართლე ახორციელებს. არსებული ვაკანსიებისა და განსახილველ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში არსებული მოსამართლეთა რაოდენობა არასაკმარისია.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლის მივლინებისათვის ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე სასამართლოს წარმოადგენს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ წარმოადგინა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავას თანხმობა მივლინებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლეთა დატვირთულობა თვის განმავლობაში შეადგენს 4,2 საქმეს, რაც საერთო სასამართლოებში შემოსულ საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით ძალიან დაბალი მაჩვენებელია. აღნიშნული მივლინება, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეთა განტვირთვას, ხოლო, მეორე მხრივ, არ შექმნის სიძნელეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოში, ვინაიდან ლელა ცანავა, მისივე თანხმობით იმავდროულად უფლებამოსილების განხორციელებას გააგრძელებს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში. აღნიშნული მივლინება არ იწვევს მოსამართლის სამუშაო ადგილის ცვლილებას, რადგან სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლო განთავსებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ლელა ცანავა მივლინებულ იქნას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად 2020 წლის 8 ოქტომბრიდან 2021 წლის 1 იანვრამდე.

2. ლელა ცანავამ, საჭიროების შემთხვევაში, იმავდროულად მოსამართლის უფლებამოსილება განახორციელოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის